



სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემი
გამომცემი 1957 წლიდან
№4 (302) აპრილი, 2017 წელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ასე ხელავენ და აწესებენ

საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, აღიქმადი ჯაჭვას, განხილვა ჩატოთა საბჭოს მე-7 სხდომაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში



გასულ თვეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შექმნილ რექტორთა საბჭოს მე-7 სხდომას უმასპინძლა. სხდომას საქართველოს ვიცე-პრეზიდენტი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი აღიქმადი ჯაჭვა და საქართველოში აკრედიტებული სახელმწიფო და კერძო სასწავლებლების რექტორები ესწრებოდნენ. აუდიტორიას მიესალმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, რის შემდეგაც სხდომის წევრებს შესავალი სიტყვით მიმართა ბატონმა ალექსანდრე ჯეჯელავამ. მან აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მადლობას იმსახურებს არა მარტო დღევანდელი მასპინძლობისთვის, არამედ იმ შრომისთვის, რასაც ათწლეულების მანძილზე ეწეოდა ამ წარმატებული შედეგის მისაღებად: „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა და ეს კარგად ჩანს. მისაბაძია მისი წინვლა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების მიმართულებით. თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია განვითარდეს და ლიდერის პოზიცია დაიკავოს რეგიონში, თუკი ამის სურვილი ექნება. ეს რომ შესაძლებელია განხორციელდეს, ამისი მაგალითი ჩვენი მასპინძელი უნივერსიტეტია“.

სის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, რის შემდეგაც სხდომის წევრებს შესავალი სიტყვით მიმართა ბატონმა ალექსანდრე ჯეჯელავამ. მან აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მადლობას იმსახურებს არა მარტო დღევანდელი მასპინძლობისთვის, არამედ იმ შრომისთვის, რასაც ათწლეულების მანძილზე ეწეოდა ამ წარმატებული შედეგის მისაღებად: „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა და ეს კარგად ჩანს. მისაბაძია მისი წინვლა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების მიმართულებით. თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია განვითარდეს და ლიდერის პოზიცია დაიკავოს რეგიონში, თუკი ამის სურვილი ექნება. ეს რომ შესაძლებელია განხორციელდეს, ამისი მაგალითი ჩვენი მასპინძელი უნივერსიტეტია“.



სამედიცინო განათლების მსოფლიო ფორუმის პრეზიდენტი – პროფესორი დანიელ ბონდონი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

სტუდენტური გვერდი:

- საინჟინერო ღია ბაკალიანტი
- 66-ე გენერალური ასამბლეა
- ჰიპოსთაზ ბიომედიცინის საერთაშორისო ღია კონგრესი
- მემორიალი ჟირომოსოვს ან ითვიდან
- სტუდენტური წვეულება



წიგნის პრეზენტაცია – „ქართული ფარმაცია და ბიოსაინჟინერინგის“, თბილისის ფარმაცეუტის ფაკულტეტის და საქართველოს ფარმაცეუტის ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა

თბილისის თეატრალური დანი – „ჰიპოკრატე“ მონაკოს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას

თამარ დავანაშვილი: სინაგოგის ბილიტინი
„ბილიტინის მომზადება მეცნიერებათა მონაკოსის გამოყენება ახრეზინისთვის და ამ მეცნიერებათა სინაგოგის ბილიტინის დასრულება მეცნიერების განვითარების კვლევისთვის“.

სხოვრების ჯანსაღი წესის დასახვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, უმაღლესი სამედიცინო განათლების ძირითადი კერა საქართველოში, რომელსაც განვითარების თითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს, ეხმარება და მხარს უჭერს ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიმართულ თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების გაძლიერებასთან დაკავშირებით და აცხადებს:



ჩვენ ვზრდით ექიმებს, ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტებს, რომლებსაც შემდეგ ყოველდღიურად უწევთ თამბაქოს მოხმარების შედეგად მიღებული ჯანმრთელობის მძიმე პრობლემების მოსაგვარებლად ბრძოლა. სამწუხაროა, რომ ეს ბრძოლა ყოველთვის ვერ იღებს დადებით შედეგს, რადგან მავნე ჩვევად წოდებული, ეროვნული უბედურების ტოლფასი – თამბაქოს მოხმარება ყოველწლიურად დაახლოებით 6 მილიონ ადამიანს კლავს; 600 000-ზე მეტი ადამიანი თამბაქოს მეორადი კვამლით იღუპება...

ორგანიზებით და თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი – „თამბაქოზე დამოკიდებულების მკურნალობა, ჯანდაცვის სისტემების გაძლიერება პირველადი ჯანდაცვის დონეზე“. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში გაიმართა თამბაქოს საინჟინერინგო ეროვნული დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია მოწოდებით – „თამბაქოსგან თავისუფალი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები“. დასახულებდნენ ლიდერი ორგანიზაციები, სადაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები ყველაზე მეტად არის დაცული თამბაქოს მოხმარებისა და მისი მავნე ზემოქმედებისგან. გამარჯვებულებს შორის დასახულებდნენ:

მე-20 საუკუნეში თამბაქომ 100 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეინარა. მკვლევარები, ამ მონაცემებისა და თამბაქოს მოწოდების ტენდენციების გათვალისწინებით, აკეთებენ დასკვნას, რომ თუ გადაწყვეტილი ზომები არ იქნა მიღებული, 21-ე საუკუნეში ერთი მილიარდი ადამიანი შეეწირება თამბაქოს აქტიურ და პასიურ მოხმარებას. საქართველო, სამწუხაროდ, ევროპის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველია მწველთა რაოდენობის გათვალისწინებით, შესაბამისი თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაავადებების რაოდენობაც ქვეყანაში. ამიტომაც განგაშის საფუძველი ნამდვილად გვაქვს. შესაბამისი ჩვენი რეაქციაა.

● თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.
● თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა.
● თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვინიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა.
ჩატარდა ღონისძიება თემაზე: „საქართველო თამბაქოს გარეშე“, რომელიც მიეძღვნა თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ დღეს – 29 მარტს. ვაგრძელებთ ბრძოლას თამბაქოს მოხმარებასთან, რომელიც მრავალი მძიმე დაავადების მარტოვანი ბედი და პირდაპირი მიზეზია. მხარს ვუჭერთ ყველა ნამოყვებასა და ინიციატივას, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის ამ ბრძოლას და მომხრე ვართ დროულად მიიღონ და ამოქმედდეს შესაბამისი კანონმდებლობა.

პარალელურად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ცდილობს მაქსიმალურად სრულყოფილი ინფორმაცია მიიტანოს სტუდენტებსა და თანამშრომლებთან. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, თსსუ-ის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების

ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის კონფერენციაზე



5-8 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიძე...

ციის ძირითადი თემა იყო - „ავტონომია და თავისუფლება: უნივერსიტეტთა სამომავლო მდგარობა“.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ მონაწილეობა მიიღო გენერალურ ასამბლეაში...

კონფერენცია ჩატარდა ბერგენის უნივერსიტეტში. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა ნორვეგიის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი...

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კონგრესი

2017 წლის 5-7 აპრილს, ქალაქ ჩერნოვცში, უკრაინის ჯანდაცვის სამინისტროს, ბუკოვინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს...

საინტერესო მოხსენებები და, ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს.

კონფერენციის ფარგლებში სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის წარმომადგენლები შეხვდნენ ბუკოვინის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს...



კონფერენციის მონაწილეები და მასპინძლები.

აღნიშვნის, ასთმისა და იზონოზიოზის მე-9 ეროვნული კონგრესის მოსაზრებადელი საშუალება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ: იმუნოპათოლოგიის მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტი, იმუნოფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი...

ბერიაშვილი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, კანცლერის მოადგილე...

პროფესორების: რიტა სტაგანი და ელისა მაგოსსო


2017 წლის 6-7 აპრილს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ ტემპუსის პროექტის კოორდინატორები, ბოლონიის (იტალია) უნივერსიტეტის პროფესორები...

მა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის წაიკითხეს ლექციები:

„ბიომეცნიერება და ადამიანის მოძრაობის კონტროლი: მოძრაობის ლაბორატორიული ანალიზიდან ყოველდღიურ დაკვირვებამდე“

„მულტიპარამეტრული ინტეგრაცია თავის ტვინში: ნეიროკომპიუტინგის ტექნოლოგიები და არქიტექტურა“.

პროფესორ ვაჟა გვანცელაძის იუბილი



6 აპრილს ბატონ ვაჟა გვანცელაძეს 85 წელი შეუსრულდა. კალათბურთის სიყვარული ახალგაზრდობიდან გამოჰყვა.

6 აპრილს ბატონ ვაჟა გვანცელაძეს 85 წელი შეუსრულდა. კალათბურთის სიყვარული ახალგაზრდობიდან გამოჰყვა.

მედიცინა და სპორტი მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავნი გახდა. ცნობილი თერაპევტის, გოგი მხეიძის, მოწაფის, არასდროს უღალატა პაციენტებისთვის...

კაცად, რომელსაც გულნატკენი ადამიანი არ ჰყავს, ხალისიანი და მოსიყვარულე გული ადამიანების საკეთილდღეოდ ფეთქავს...

ღვანულასი პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, საქართველოს პუბლიცისტი და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი...

პროფესორ ვაჟა გვანცელაძეს, ულოცავთ საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობას, სულის სიმრთელეს, წარმატებებს ვუსურვებთ!

ევრაზიული ქვეყნების უმაღლესი განათლების სამიტზე



2017 წლის 21-25 მარტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი ირაკლი კობრიძე და უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე...

პროფესორ ირაკლი კობრიძესა და სამიტის პრეზიდენტს, დოქტორ მუსტაფა აიდინს, შორის. შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს უმაღლესი განათლების აქტიუალური საკითხები...

ევრაზიული ქვეყნების უმაღლესი განათლების სამიტის (EURIE) საგამოფენო ცენტრში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტენდი...

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილმა საუნივერსიტეტო კლინიკებმა.

ნაყოფიერი ვიზიტი ბერლინში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე მივლინებით იმყოფებოდა გერმანიაში...

ვებსიტისაა შექმნილი. ამ გზით მომზადებული არხები Itradent-ის საირიგაციო სისტემებთან ერთად...

ვიზიტის ფარგლებში პროფესორი მარინა მამალაძე დაესწრო კიოლნიში გამართულ საერთაშორისო სტომატოლოგიურ გამოფენას...

მასტერ-კლასს წინ უძღვოდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილი იყო რესტავრაციული ოდონტოლოგიისა და კლინიკური ენდოდონტიის უახლესი მიღწევები.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ახალი სარესტავრაციო სისტემის osaic-ისა და თანამედროვე ენდოდონტიური მოწყობილობის enius-ის შესაძლებლობებზე წარმოდგენილი პრეზენტაციები.

ლონისძიებზე პროფესორი მარინა მამალაძე შეხვდა სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებს. შეხვედრებზე დაიგეგმა მიმდინარე წელს თსუ-ში სხვადასხვა აქტივობების განხორციელების შესაძლებლობა...

ნაყოფიერად დასრულდა პროფესორის ვიზიტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიას შორის.

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორმა...

პროფესორი მერი ალანია 80 წლისაა



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მერი ალანია, 80 წლისაა.

პროფესორი მერი ალანია, 80 წლისაა. ღვაწლმოსილი მეცნიერი, მკვლევარი, პედაგოგი და ღირსეული ადამიანი ერთ-ერთი იმთავანია, რომლის თავდაუზოგავ შრომას, საქმისადმი თავდადებასა და პროფესიონალიზმს ეფუძნება მისი სამეცნიერო მიღწევები...

ქალბატონი მერი 16 საავტორო მონომოხის და პატენტის მფლობელია, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებულია 5 სადი-სურტაციო ნაშრომი; შემუშავებულია აქვს რამდენიმე ორიგინალური სამკურნალო პრეპარატი. წლების განმავლობაში გახლდათ ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სადი-სურტაციო საბჭოს წევრი, ამჟამად თსუ-ის ფარმაცევტული ფაკულტეტის სადი-სურტაციო საბჭოს წევრი.

პროფესორი მიხაელ ღვინჯიანი თსუ-ის სტუდენტებისთვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებისთვის ბონის უნივერსიტეტის პროფესორმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა, მიხაელ ღვინჯიანი წაიკითხა ლექციები...

კუთრებული მისიით, გერმანიის სახელმწიფო დაფინანსებით და წელიწადში 6 თვის განმავლობაში თსუ-ის გვი უვანის სახელობის პენდიტორის აკადემიურ კლინიკაში ეწვევა კლინიკურ და საგანმანათლებლო საქმიანობას. გერმანელი პროფესორი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებისთვის პერმანენტულად კითხულობს ლექციებს.

საქართველო განათლების მსოფლიო ორგანიზაციის პრეზიდენტი თბილისის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, საქართველოს საქმიანი ვიზიტით ეწვევნენ: სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი – პროფესორი დევიდ გორდონი და ამავე ორგანიზაციის ადმინისტრაციის უფროსი სიობჰან ფიცპარტიკი.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, პროფესორი ამირან გამყრელიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე, ვიცე-რექტორები: პროფესორი ხათუნა თოდაძე და ასოცირებული პროფესორი ირაკლი კობრიძე, ხარისხის უზრუნველ-

ცინო პროგრამების აკრედიტაციის განმასხვრცილებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის სტანდარტებს. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი გეგმავს, მოიპოვოს ფედერაციის აღიარება, რაც საშუალებას მისცემს განახორციელოს სამედიცინო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

აუდიტორიას სიტყვით მიმართა საქართველოს ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჯეჯელავამ: სამედიცინო განათლების მნიშვნელობას ხაზგასმამ არ სჭირდება. ჩვენ ამ საკითხს რეგორულ ჭრილში უნდა შევხედოთ. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გაკეთდება და მომავალშიც ქართული სამედიცინო განათლება იქნება მონინავე რეგიონში, – თქვა მან, ასევე ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო პროგრამაზე, „ვისწავლოთ საქართველოში“, რომელსაც ძალიან მნიშვნელოვანი სიკეთის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის.

დამსწრეებს მიესალმა შრომის,



ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგენკო. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დღევანდელი შეხვედრა ხანგრძლივი პროცესის ნაწილია, რომელსაც სამედიცინო განათლების განვითარების გეგმა ჰქვია. სამედიცინო განათლებას უდიდესი ტრადიცია აქვს საქართველოში და ამჟამად ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ჩვენი სისტემა სინქრონიზებული იყოს ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებთან. მან, ასევე, ისაუბრა დიპლომის შემდგომი განათლების მნიშვნელობაზე და მისი საერთაშორისო აკრედიტაციის აუცილებლობაზე.

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტმა, დევიდ გორდონმა შეხვედრის მონაწი-

ლებს წარუდგინა პრეზენტაცია. მან აუდიტორიას გააცნო სამედიცინო განათლებისადმი ნაყენებული ახალი მოთხოვნები და სამომავლო ტენდენციები. სამედიცინო განათლების პროგრამების განმასხვრცილებელ დაწესებულებებს სამუშაო შეხვედრის დროს საშუალება ჰქონდათ, მიელოთ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ზურაბ ორჯონიკიძემ აღნიშნა, რომ ბატონი დევიდ გორდონის ვიზიტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სამედიცინო განათლების განვითარების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ პროფესორი დევიდ გორდონი და ქალბატონი სიობჰან ფიცპარტიკი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკას ეწვევნენ, სადაც შეხვედრის კლინიკის გენერალურ დირექტორს, გიორგი აბესაძეს, დაათვალიერეს კლინიკის რამდენიმე დეპარტამენტი. სტუმრებმა აღნიშნეს, რომ ეს სერიოზული განაცხადია საქართველოს სამედიცინო განათლებაში. მათ მოსამინდის დეტალური ინფორმაცია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაზე, ისაუბრეს სამედიცინო განათლების მიმდინარე რეფორმების შესახებ.



ვიზიტის მიზანია სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის პერსპექტივების განხილვა.

მიმდინარე წლის 6 აპრილს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შედგა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: პროფესორი დევიდ გორდონი და ქალბატონი სიობჰან ფიცპარტიკი, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგენკო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი თამარ სანიკიძე,

ყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი ირინე კვაჭაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების წარმომადგენლები და სტუმრები თბილისისა და რეგიონების უმაღლესი სასწავლებლებიდან.

ლონისძიებმა გახსნა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა თამარ სანიკიძემ. მან აღნიშნა, რომ უკვე დაწყებულია მუშაობა იმისთვის, რომ საქართველოში მიღებულ უმაღლეს განათლებას 2023 წლიდან უნდა ჰქონდეს საერთაშორისო აღიარება. რაც შეეხება კონკრეტულად სამედიცინო განათლებას, სამედი-



სწავლების ახალი მეთოდი დაინერგა



გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში, თსსუ-ში გაიმართა ოჯახის დაგეგმვის ინტერაქტიული სასწავლო პაკეტის – „ვირტუალური კონსულტირება კონტრაცეპციაში“ და დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების სფეროში რეზიდენტების პროფესიული მზადების პროცესში ახალი პროდუქტის – „პორტფოლიოს“ წარდგენა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით კითხვებით მიმართეთ პროგრამის შექმნის ინიციატორს, თსსუ-ის დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის გენერალურ მდივანს, თსსუ-ის ასოციირებულ პროფესორს, ბატონ ზაზა მოხუას.

– თსსუ-ისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის შორის გაფორმებული მემორანდუმი მნიშვნელოვან სიახლეს გვთავაზობს დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით პროგრამების დანერგვის თვალსაზრისით.

– სწორედ ამ ურთიერთთანამშრომლობის პროდუქტია ოჯახის და-

გეგმვის ინტერაქტიული სასწავლო პაკეტი – „ვირტუალური კონსულტირება კონტრაცეპციაში“. ონლაინ სწავლებისა და ტესტირების ეს სისტემა, განკუთვნილი ოჯახის დაგეგმვის სფეროს ექიმებისთვის (მეან-გინეკოლოგები, რეპროდუქტოლოგები, ოჯახის ექიმები, რეზიდენტები), არის მტკიცებულებაზე დაფუძნებული ონლაინ პლატფორმა, რომელსაც გაეროს მოსახლეობის ფონდი უსასყიდლოდ სთავაზობს სერვისის მიმწოდებლებს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

– მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროგრამის შექმნაში მონაწილეობდნენ თქვენ და თსსუ-ის კლინიკის პროფესორი გიორგი ცერცვაძე.

– აღნიშნული პლატფორმის დანერგვისა და იმპლემენტაციის პროცესში დიდი წვლილი მიუძღვის თსსუ-ის კლინიკის პროფესორს, ბატონ გიორგი ცერცვაძეს.

– დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების სფეროში გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით, თსსუ-ის რეზიდენტურის პროფესიული მზადების პროცესში ახალი პროდუქტის – „პორტფოლიოს“ პილოტირებაც მოხდება. მეთოდი აქამდე დანერგული გახლდათ თსსუ-ის სამედიცინო რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ამჟამად კი პირველად ხდება მისი სარეზიდენტო მზადების პროცესში პილოტირება-ადაპტაცია.

– „პორტფოლიო“ შეფასების ობიექტური მეთოდია, რომელიც ავსებს მზადების ყველა ასპექტს. იგი რეზიდენტების განხორციელებული აქტივობის დოკუმენტირების შესაძლებლობას იძლევა. რეზიდენტი პროფესი-

ული სწავლების პროცესში საკუთარ ელექტრონულ CV-ს ქმნის, რაც სამომავლოდ მისთვის ღირებული და აქტუალური პროდუქტი გახდება. ახალი პროდუქტი საქმის წარმოების მოქნილი მართვისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ინერგება.

– რა არის VIC პროგრამის კონკრეტული მიზანი?

– აღნიშნული პროგრამის დანერგვა ხელს შეუწყობს ოჯახის დაგეგმვის მეთოდების მიზნობრივი მოხმარების ხარისხს, ამცირებს თანამედროვე კონტრაცეპციის არამიზნობრივ მოხმარებას. აღნიშნული მიდგომა მხარს უჭერს წყვილებისა და ცალკეული ინდივიდების რეპროდუქციულ უფლებებს. პროგრამის მიზანია მსმენელთა მოზადება ევროპული სურტიფიკატის აღსაღებად. იგი ითვალისწინებს კონტრაცეპციის საკითხების განხილვას სხვადასხვა ჩრილში – მტკიცებულებაზე დაფუძნებული ოჯახის დაგეგმვის სამსახურის გაუმჯობესებას, ჯანდაცვის სისტემის, როგორც პირველად, ასევე, შემდგომ საფეხურზე ექიმ სპეციალისტთა პროფესიული დონის ამაღლებას ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით.

– მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროგრამის განხორციელება მოხდება დისტანციური სწავლების პრინციპის მიხედვით, რითაც შეტად კომფორტული გარემო შეიქმნება მსმენლისთვის.

– VIC მიზნად ისახავს უზრუნველყოს დისტანციური სწავლება, რაც უპირატესობას ანიჭებს ონლაინ სასწავლო გარემოს და სრულყოფილ ხდის ოჯახის დაგეგმვის ტრადიციული სასწავლო კურსებს/ტრენინგებს.

ჩვენ ასევე ვსაუბრობთ გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის პროგრამის

ახალიტიკოსს, ბატონ გიორგი მატარაძეს და ვთხოვთ გამოუთქვან ახრი თსსუ-სთან გაფორმებული მემორანდუმის შესახებ დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის შორის.

– ხარისხიანი რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ადოკატორება გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს. ამ მიზნის მოსაწვდომად გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი ტექნიკურ დახმარებას უწევს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში დიპლომის შემდგომი და უწყვეტი პროფესიული განათლების ხარისხის დონის ასამაღლებლად. გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისისა და თსსუ-ის შორის 2016 წელს ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ძალისხმევით, შესაძლებელი გახდა ოჯახის დაგეგმვის ინტერაქტიული სასწავლო პაკეტის „ვირტუალური კონსულტირება კონტრაცეპციაში“ /VIC (VIRTUAL CONTRACEPTION CONSULTATION) ქართულ ენაზე თარგმნა და ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით ადაპტირება. VIC არის მტკიცებულებაზე დაფუძნებული ონლაინ პლატფორმა, რომელსაც გაეროს მოსახლეობის ფონდი უსასყიდლოდ სთავაზობს სერვისის მიმწოდებლებს, ექიმებს და რეზიდენტებს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. ონლაინ პლატფორმა მომხმარებლებს მაღალი ხარისხის, თანმიმდევრულ სატრენინგო კურსს სთავაზობს ოჯახის დაგეგმვის თანა-



მედროვე მეთოდებისა და პრაქტიკის მიმართულებით. სასწავლო პაკეტი უახლოვს საერთაშორისო სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს ეფუძნება. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა და დაიტესტა პაკეტის ქართულენოვანი ვერსია, რომელიც 2016 წელსვე გახდა ხელმისაწვდომი მომხმარებელთათვის. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესიული საბჭოსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განაცხადებით, ოჯახის დაგეგმვის ინტერაქტიული სასწავლო პაკეტი უწყვეტი სამედიცინო განათლების ნაწილი გახდა.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლების სფეროში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა თსსუ-ის რეზიდენტურის საექიმო სპეციალობის „მეანობა-გინეკოლოგია“ – რეზიდენტების პროფესიული მზადების პროცესში – მიმდინარეობს ახალი პროდუქტის „პორტფოლიოს“ პილოტირება. „პორტფოლიო“ საქმის წარმოების მოქნილი მართვისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის ინერგება.

ესაუბრა დარეჟან კომლაკი

საინტერესო დღეები ბაკურიანში



თსსუ-ის ივ. თარხნიშვილის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების, სტუდენტური თვითმმართველობის, ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია – თბილისის (EMSA – Tbilisi), ევროპის დანტისტ სტუდენტთა ასოციაცია-თბილისის (EDSA-Tbilisi), და ევროპის ფარმაცევტ სტუდენტთა ასოციაცია-თბილისის (EPSA-Tbilisi) ორგანიზებით, ბაკურიანში სასტუმრო „ევრიკაში“, ჩატარდა „სტუდენტთა სამეცნიერო ფორუმი“, რომელიც მოიცავდა საგანმანათლებლო და გასართობ ღონისძიებებს. კონფერენციებს ხელმძღვანელობდნენ თსსუ-ის მედიკოსი ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, ასოცირებული პროფესორები: მარინა გორგობიანი, დავით თოფურია, მათა მათოშვილი, მედიკოსის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი მარინა თევზაძე და ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტი ავთანდილ ხშიადაშვილი.

სართობი წვეულებები. პირველ დღეს „ვალენტინობის“ საღამო ჩატარდა წყვილების მონაწილეობით, გამარჯვებულებს ვიდეოები გადაეცათ. საღამოს კულმინაცია იყო გულის ფორმის სურვილების ყუთი, რომელიც მორთული იყო რომანტიკული ფრაზებით და სახე იყო ნუგბარით. დღის ბოლოს ის ერთ-ერთ მონაწილე იუბილარს გადაეცა.

მეორე დღეს კონფერენციაზე პროფესორმა მარინა გორგობიანმა ისაუბრა ეკოლოგიურ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. ლექციის ბოლოს სტუდენტებს მიეცათ საშუალება დაესვათ სასურველი კითხვები. პროფესორმა თინათინ ჩიქოვანმა წარადგინა თემა – ციტოკინური შტორმი კრიტიკული მდგომარეობის დროს. კონფერენციების და მოხსენებების შემდეგ ისევ გასართობი ღონისძიებების დრო დადგა. საღამო სახალისო და საინტერესო იყო, რადგან ყველა შეჯიბრი ცეკვას უკავშირდებოდა, რომელსაც მუსიკალურად თსსუ-ის სტუდენტები აფორმებდნენ.

განსაკუთრებით დატვირთული იყო მესამე დღე. პროფესორებმა: დავით თოფურია და მათა მათოშვილმა დამსწრეთა გააცნეს მედიკამენტოზური და უცნობი ეტიოლოგიის მწვავე მონამვლების მენეჯმენტი და ფსორიაზის ეტიო-პათოგენეზი და მკურნალობის ახალი მეთოდები. ასევე საინტერესო თემები წარმოადგინეს სტუდენტებმა: მარინა თევზაძემ და ავთანდილ ხშიადაშვილმა. მესამე დღეს ჩატარდა პირველადი გადაუდებელი დახმარების პრაქტიკული კურსი. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათთვის ეს ტრენინგი განსაკუთრებით საინტერესო და ინფორმატიული იყო. დასკვნითი საღამო ბევრი სურპრიზით და მოულოდნელობებით იყო აღსავსე. მონაწილეებმა ითამაშეს „კომპი მყოფი სანტა“, რაც ნიშნავდა, რომ ისინი ერთმანეთის სანტები უნდა ყოფილიყვნენ, რომელმაც ცოტა დაავიანა. საჩუქრების გადაცემის შემდეგ დაიწყო ყველაზე სახალისო – ნომინაციების გამოცხადება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გამოვლინდა მის და მისტერ ბაკურიანი, ისინი საღამოს მეფედ და დედოფლად „აკურთხეს“ და გვირგვინები გადასცეს. გალა საღამო დიდხანს გაგრძელდა და სტუდენტებს დაუფინყარი მოგონებები დაუტოვა.

დადგა გამომგზავრების დროც. მონაწილეები მხარულ მოგონებებს ერთმანეთს უზიარებდნენ და სურვილს გამოთქვამდნენ, რომ მომავალ წელს ისევ ბაკურიანში დაბრუნდებოდნენ საუკეთესო დღეების გასატარებლად. სტუდენტთა სამეცნიერო ფორუმი 2017 დასრულდა, მაგრამ საინტერესო დღეები ჯერ კიდევ წინაა.

მარინა პარიკაშვილი,
მედიცინის ფაკულტეტის მე-6 სემესტრის სტუდენტი



მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს

2011 წლის 10 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 21 მარტი ოფიციალურად გამოაცხადა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ, რასაც წლებია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, განსხვავებული სლოგანებითა და ღონისძიებებით ხვდებიან.

სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, თბილისის სახელ-

დრომის მქონე ბავშვების საზოგადოებისგან გარკვევასა და მათი ოჯახების იზოლაციას.

მათი აღზრდისას გასათვალისწინებელი მრავალი ფაქტორი. უმნიშვნელოვანესია მშობლის პოზიცია და აღზრდის მეთოდი. ამასთან, ისინი საჭიროებენ მუდმივ სამედიცინო ზედამხედველობას. ესაჭიროებათ ჰარმონიული გარემო, რადგანაც უფრო



მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში გაიმართა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“, რომელსაც ხელმძღვანელობდა მედიცინის ფაკულტეტის მე-2 სემესტრის სტუდენტი მარინა თევზაძე. პროფესორმა ნინო ფირცხვალანმა ისაუბრა ასეთი ბავშვების ინტეგრაციის მნიშვნელობაზე საზოგადოებაში. ლექციის შემდეგ გაიმართა მოკლემეტრაჟიანი ფილმის ჩვენება, რომელმაც გულგრილი არავინ დატოვა.

სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის შეხედულება დაუნის სინდრომის არსზე, ინფორმირებულობის დაბალ დონეზე მიგვიყვანებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედა გამოხატული რეგიონებში, სადაც ინტეგრაცია კიდევ უფრო რთულია. შესაბამისი ცოდნის არქონა იწვევს დაუნის სინ-

მეტად აღიქვამებ, გრძობენ და განიცდიან გარშემოყოფთა დამოკიდებულებას.

მნიშვნელოვანია საზოგადოებამ გააცნობიეროს საკუთარი როლი არსებული სტიგმისა და გამეფებული სტერეოტიპების დაძლევის აუცილებლობაში, რადგანაც ხშირ შემთხვევაში სწორედ ადამიანთა დამოკიდებულება ხელს უშლის მათთვის სრულფასოვანი განათლების მიღებას, დასაქმებას და ადაპტაციას.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ქართველი ახალგაზრდები სხვადასხვა ორგანიზაციების დაარსებითა თუ მხარდაჭერით აქტიურობის მეშვეობით ცდილობენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, ახალგაზრდების აქტიურობა მომავალში ბევრი სასარგებლო ცვლილების მომასწავებელია.

თათია კაპულია,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის მე-4 სემესტრის სტუდენტი

66-ე გენერალური ასამბლეა



2017 წლის 1-8 მარტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, დავით ტვილიდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტისა

და პეტრე შოთაძის სახელობის სამედიცინო აკადემიის სტუდენტები იმყოფებოდნენ მონტენეგროში, ქალაქ ბუდევაში, IFMSA-ის (მსოფლიო მედი-

კოს სტუდენტთა ასოციაცია) 66-ე გენერალური ასამბლეაზე. საქართველოს დელეგაცია უკვე მესამედ დაესწრო ამ დაუფინყარი ღონისძიებას. 5 დღის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდით როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურულ ღონისძიებებში. სასიხარულოა, რომ წელს პირველად ჩვენი დელეგატები დაესწრნენ კომიტეტის ყველა მუშაურობას.

122 ქვეყნის 1200 ექიმ-სტუდენტს გავაცანიოთ საქართველო, ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელოვანი ცვლილებები. ჩვენ GMSA როგორც IFMSA candidate member organization განვიხილეთ ფედერაციის შიდა საკითხები, დავაფიქსირეთ ჩვენი დელეგაციის პოზიცია სამომავლოდ.

ნინო ზივზივაძე,
მედიცინის ფაკულტეტის მე-6 სემესტრის სტუდენტი

კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა, ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია (EMSA) და კოტე მარდალიანიშვილის სახელობის ონკოლოგიური კლინიკა. ღონისძიების მიზანი იყო კიბოს შესახებ

ცოდნის ამაღლება. მოეწყო გამოფენა „კიბოს პოზიტიური იმიჯი“, სადაც გამოიფინა სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვების ხელნაკეთი ნივთები.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა, ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია (EMSA) და ბერი ანდრეას სახელობის ფონდი „მედისონისა“ და „ლაიფმედის“ კლინიკებს ესტუმრა, მათ მონიხაულებს,

დაასაჩუქრეს გაამხსნევს სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვები. დღემ მეგობრულ, თბილ და პოზიტიურ გარემოში ჩაიარა.

ნინო ზივზივაძე,
მედიცინის ფაკულტეტის მე-6 სემესტრის სტუდენტი



სტუდენტური წვეულება



6 აპრილს თსსუ-ის სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, კლუბ „UNDERWHEEL“-ში (მთანმინდის პარკი) შეიკრიბნენ წვეულება „Spring Party“-ზე, რამაც კიდევ ერთხელ საშუალება მისცა თითოეულ მათგანს ერთად და საუკეთესოდ გაეტარებინა დრო განსხვავებულ სიტუაციაში და ამპლუაში.

„გემოვნებიანი მუსიკა, თბილი და მეგობრული გარემო, უამრავი სასიამოვნო წუთი ჩვენთვის ნაცნობ თუ უცნობ ადამიანებთან ერთად“, – ასე ახასიათებენ სტუდენტები ჩატარებულ ღონისძიებას. საღამოს მუსიკა-

ლურად აფორმებდნენ: თორნიკე თოფურია, ყოფილი „არტ პროექტის“ ბენდის წევრები – ზაზა ნოზაძე (SFX), რეზი ზაზიური და გიორგი პაიჭაძე.

ასე აღნიშნეს გაზაფხულის დადგომა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, მუდამ აქტიური სტუდენტური თვითმმართველობის ძალისხმევით. იმედია, მომავალში კიდევ არაერთი ღონისძიება ჩატარდება.

გულიკო მურაჩაშვილი,
ფარმაციის ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტი

გვერდით მოამზადა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის VI სემესტრის სტუდენტმა, სტუდენტური თვითმმართველობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა, **ნინო ზივზივაძემ**

სინაიზაციის მართვა

ქართული ფინანსია და მაისურაპეები

დასაწყისი მე-5 გვ. -ზე

სიმაღლი ნაწილიდან ორგანოში ხდება რეგენერაციული ნერვული ბოჭკოების ჩაზრდა, მაშინ უნდა ვიზრუნოთ ახალი ნერვულქსოვილოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რაც მორფოგენეზის დამთავრების შემდეგ არ განხორციელდება, რადგან არ განმეორდება ემბრიოგენეზის ზემოთ აღწერილი პროცესი. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ნერვული ბოჭკო რეგენერაციის პროცესში 24 საათში ერთი მილიმეტრით იზრდება. თუ დაზიანებული საფარი ნერვის მაგალითზე წარმოვიდგინოთ, შეკერვის შემდეგ მისი პროქსიმალური ნაწილიდან ქვედა კიდურის კუნთებამდე რეგენერაციული ნერვული ბოჭკოების ჩაზრდა და თითოეულ მილიმეტრთან მიზიდვამდე დასჭირდება 20-25 დღე. 20-25 დღის განმავლობაში დენერვაციული კიდურის ქსოვილებში დისმეტაბოლიზმი იღებს შეუქცევად ხასიათს და დანერვებული ქსოვილებში ნერვული ბოჭკოს ჩაზრდის შესახებ მსჯელობა ზედმეტია, მაგრამ ფაქტია, არაიშვიათად ზოგიერთი მიოციტი ნერვის შეკერვისთანავე იწყებს შეკუმშვას, ხოლო რაც შემთხვევებში ნერვის მთლიანობის აღდგენით ხდება კიდურის, მისი ქსოვილების შენარჩუნება ნერვ-კუნთოვანი სინაფსებით და ნერვ-კუნთოვანი პროპრიორეცეპტორებით. მართალია, კუნთები ატროფიულია მიოციტების დიდი ნაწილის დაუქვის გამო და კიდურის ფუნქცია დარღვეულია, მაგრამ კიდური შენარჩუნებულია. მოხსენებული ფაქტი აისახება შემდეგთ: ვალერის დეგენერაციის პროცესის ულტრასტრუქტურის შესწავლით გამოიკვეა, რომ დასახლებული დაზიანების სანაყის სტადიაში ნერვულ ბოჭკოში პროცესი შექცევადია და ნერვის პროქსიმალური და დისტალური ბოლოების ერთმანეთს შეერთდება (საჯდომი ნერვი შერეული ნერვია, შეიცავს დენდრიტებსაც და აქსონებსაც), მაშინ ამ ბოჭკოებში ნერვული ინფორმაციის გადაცემა ცენტრიდან პერიფერიისკენ აღდგება და, შესაბამისად, კუნთოვანი უჯრედები აღდგება ნორმალური ნერვულ-ქსოვილოვანი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი მეტაბოლიზმი. ეს შეიძლება განხორციელდეს ნერვულ ბოჭკოთა მხოლოდ ნაწილში (რადგან ნერვის გადაკვეთილი ბოლოების ერთმანეთთან მიერთების თანამოსახლე ბოჭკოების ერთმანეთთან შეხვედრის ალბათობა მინიმალურია). შესაბამისად, კუნთოვანი უჯრედების მხოლოდ ნაწილი გაგრძელდება ცხოველმყოფლობა. ამიტომ არის, რომ ყოველთვის ნერვის მთლიანობის აღდგენის შემდეგ შეჩინილი კიდური (სხეულის სხვა ნაწილები და ორგანოები), როგორც წესი, ატროფიულია. ამგვარად, ორგანოს რეინერვაციის, როგორც დაცვითი რეაქციის განვითარების შესაძლებლობა, გამორიცხებულია. ქსოვილთა ნაწილში „რეინერვაცია“ ვითარდება ბიოსტრუქტურებში მეტაბოლიზმის თვითრეგულაციის გზით.

საინტერესოა საკითხი იმუნური რეაქციების – ანტიგენის უვნებელ-ყოფი ანტისხეულების წარმოქმნის შესახებ, რომლებიც საყოველთაოდ დაცვით – მიზანდასახულ რეაქციებზე არის მიჩნეული. პათოგენური მიკრობის სახით წარმოადგენილი ანტიგენი შედგენილი ბიოლოგიური სისტემა და თავისი შედგენილობით და შესაბამისად, მასში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესებით – მეტაბოლიზმით, განსხვავებულია მაკროორგანიზმის შედგენილობისგან და მასში მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესებისგან. ამ სხვადასხვა შედგენილობის მქონე სისტემების შეხვედრა არღვევს მაკროორგანიზმში მიმდინარე სტერეოტიპულ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს, ცვლის ამ პროცესების მიმართულებას და, შესაბამისად, სხვა მაკროორგანიზმისთვის უჩვეულო ნივთიერებათა სინთეზს აპრობებს. ეს, მაკროორგანიზმისთვის უჩვეულო ნივთიერება, თვით არის ანტიგენი –

პათოგენური ინფორმაცია, რომელიც, თავის მხრივ, ცვლის მეტაბოლიზმს და ისევ ორგანიზმისთვის უჩვეულო ნივთიერებების სინთეზს იწვევს და ა.შ. ამგვარად, მაკროორგანიზმში პათოგენური მიკროორგანიზმის მოხვედრა არ იფარგლება მხოლოდ ეკზოგენური პათოგენური ინფორმაციის შესვლით, არამედ მას, დაწყებული ინფორმაციის ხაზებიდან (რომლებიც იწყებს მიკროორგანიზმში შემოსვას), გენებამდე (რომლებიც არაადეკვატური ეკზოგენური და ენდოგენური ინფორმაცია სხვადასხვა მუტაციას იწვევს, რაც ორგანიზმისთვის უცხო ცილების წარმოქმნაში გამოიხატება), მოჰყვება ახალ ენდოგენურ პათოგენურ ინფორმაციათა კალენდოსკოპი, რომელიც ცირკულირებს სისხლში, ლიმფაში, აღწევს ორგანოების უმრავლესობას ან ყველა ორგანოს და ყველგან აპრობებს ახალი პათოგენური ინფორმაციის წარმოქმნას. ასე ყალიბდება მანიერული წრე, რომლის განვითარებაც მხოლოდ ექიმს, სამკურნალწამლო ნივთიერებას შეუძლია. რაც შეეხება ანტისხეულების, ორგანიზმის ე.წ. დამცველი ფაქტორების წარმოქმნას, ეს სხეულები ერთ-ერთი მიკროორგანიზმების მაკროორგანიზმში მოხვედრისას წარმოქმნილ ენდოგენურ ინფორმაციათაგან. ანტისხეული ისეთი ენოდება, რომელიც ანტიგენის უვნებელყოფილი, ანუ როგორც მიღებულია, „შემოჭველი“ აღმოჩნდება, მაგრამ განკურნებისთვის ეს არ არის საკმარისი და აუცილებლად ხდება საჭირო სამკურნალწამლო ნივთიერებით ინფექციის პროცესში წარმოქმნილი ყველა პათოგენური ინფორმაციის ლიკვიდაცია. აღნიშნული იმიტომაც მტკიცდება, რომ ე.წ. ანტისხეულები ანტიბიოტიკებით თერაპიის შემოღებამდე იქმნებოდა, მაგრამ თითოეული ინფექციური დაავადების დროს ლეტალობის მაჩვენებელი ძლიერ მაღალი იყო. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად დაავადების მიმდინარეობაში იმუნური რეაქციის დათრგუნვა ხდება აუცილებელი, რადგან ე.წ. დამცველი ფაქტორები – ანტისხეულები თვითონ ხდებიან ანტიგენი, რაც იმუნური პათოლოგიის – აუტოაგრესიის სახელწოდებითაც ცნობილი. აქვე უნდა აღინიშნოს რომ საყოველთაოდ აღიარებული ცნება – იმუნური მეხსიერება, სხვა არაფერია, თუ არა მუტაციის შემდეგ ლიმფოციტის ყველა მომდევნო პოპულაციაში ერთი და იგივე ცილის სინთეზი. რაც ფავოციტოზი შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილ, ორგანოების დამცველ რეაქციად. ისიც ორი ბიოლოგიური სისტემის – მიკროორგანიზმისა და უჯრედის ურთიერთქმედების ფიზიკურ-ქიმიური პროცესების გამოხატვაა, რომლის დროსაც მიკრობზე უფრო ხშირად უჯრედში ვითარდება შეუქცევადი პათოლოგია – ნეკროზი.

ცნობილია საყოველთაოდ მიღებული აზრი ლეიკოციტების ბაქტერიოსტატიკური თვისებების და, შესაბამისად, მაკროორგანიზმში მათ მიერ დაცვითი ფუნქციების განხორციელების შესახებ. ეს მაშინ, როდესაც მიკრობის – ანტიგენის – პათოგენური ინფორმაციის პრობლემა ისე იკვლება ლეიკოციტებში მიმდინარე მეტაბოლიზმი და მათში ისეთი ნივთიერებების სინთეზი ხდება, რომ არა მხოლოდ მიკრობს, არამედ სხვადასხვა პისტოგენების მქონე უჯრედებს, უჯრედშუა ნივთიერებას აზიანებს, რაც ხდება ალტერაციის, ე.წ. ანთების დამძიმების მიზეზი და ექიმის დროული ჩარევის გარეშე, ავადმყოფობა პროგრესს განიცდის და სხვა.

ერთ სტატიაში შეუძლებელია ყველა „დაკანონებული“ ცნებისა და აზრის შეფასება, მაგრამ ყველა მათგანის შეფასების პრინციპი ერთია – დაფიქრება საჭირო, მედიკინის მომხმარებელ მემცენერებთა მონაპოვარის გამოყენება აზროვნებისთვის და ამ მემცენერებების სინერგიაში მედიკინისა და ექიმის მიხედვით ფაქტების გადაფასების შესაძლებლობას მეცნიერების განვითარების კვლევა კვალ.



გაზაფხულის დადგომასთან ერთად ჩვენმა უნივერსიტეტმა არაერთ საინტერესო ღონისძიებას უმასპინძლა. ერთ-ერთი გამორჩეული იყო ნიგინის პრეზენტაცია – „ქართული ფინანსია და მაისურაპეები“, რომელიც ფინანსიის ფაკულტეტის და საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა. ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა და საზოგადოებას ქართული ფარმაციის განვითარების მოკლე ისტორიასა და ნიგინის მნიშვნელობაზე ესაუბრა თსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დალი ბერაშვილი: „ფარმაციის, როგორც დამოუკიდებელი, ამასთან – უძველესი და ტრადიციული, დარგის განვითარებაში დიდა როგორც ცალკეული ადამიანის, ისე – ოჯახები ეკუთვნება მაისურაპეთა ოჯახს და საგვარეულო, რომლის ღვანლი და დამსახურებაც ამ უთხბით გაწუხომეოდა“, – აღნიშნა ქალბატონმა დალი ბერაშვილმა.

საზოგადოებას მიმართა ნიგინის ავტორმა, ბატონმა თენგიზ მაისურაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ნიგინი მაისურაძეთა აფთიქის დაარსებიდან 150 წლისთავს მიუძღვნა. მან ისაუბრა ღონისძიების მიზანშეწონიერებაზე, მათ შორის, თავისი დროის პირველი ქართველი უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციური ფარმაცევტის, იოანე მაისურაძის და მის შთამომავალთა საქმიანობაზე, რომლებიც ორი საუკუნეა თავდაუზოგავად ემსახურებიან ქართულ ფარმაციას.

ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფესორმა ალიომა ბაკურიძემ ყურადღება გაამახვილა მაისურაძეთა ღვანლი 2 მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით – მათ დამსახურებაზე როგორც ქართული ფარმაციის, ისე ქვეყნის წინაშე: „მაისურაძეებმა ფარმაცია აიჩინეს თავიანთი ნიჭის თუ უნარის წარმოსაჩენად და ეს უნარი სრულად მოახმარეს სამშობლოს... უნდა აღინიშნოს იოანე მაისურაძის დამსახურების შესახებ არა მხოლოდ ქართული ფარმაციის, არამედ ფარმაცევტული საქმიანობის განვითარების და მნიშვნელოვანი ტრადიციების ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც; მის სახელს უკავშირდება საფთაობა, სამეურნეო, სამედიცინო კულტურების განვითარება; უნდა ითქვას, რომ ის გახლდათ ევროპული ღირებულებების მქონე ადამიანი და სწორედ ამ ღირებულებების დამკვიდრებამ ესაახურა ბოლოდღე... ნიგინი, როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო ღირებულების მქონე მონოგრაფიაა. შემთხვევითი არაა, რომ ნიგინის პრეზენტაცია თბილისის

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შედგა, რომლის სლოგანია – „ტრადიციებით მომავლისკენ“, რაც უკეთესი მომავლისკენ სვლას სწორედ ისეთი ღირსეული წინაპრების მემკვიდრეობაზე დაყრდნობით გულისხმობს, როგორცაა მაისურაძეთა გვარი და მათი ღვანლი მედიკინის და ფარმაციის წინაშე“, – აღნიშნა ბატონმა ალიომ ბაკურიძემ.

მედიკინის ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა რამაზ შენგელიამ ისაუბრა მედიკინისა და ფარმაციის მნიშვნელობაზე ჩვენი ქვეყნისთვის კულტუროლოგიური თვალსაზრისითაც; ამასთან, შეეხო სხვადასხვა გვარის დამსახურებას მედიკინისა და ფარმაციის წინაშე, რასაც დიდი ხნის ისტორია აქვს და შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. „ნიგინი, რომელზე სასაუბროდაც შევიკრიბეთ, საუკეთესო მაგალითი და დადასტურებაა იმის, თუ როგორ უნდა იქმნებოდეს მსგავსი ნიგინები – დიდი შრომით და განსაკუთრებული პასუხისმგებლობით. მასში მკითხველი საინტერესო ფაქტებს და უნიკალურ დოკუმენტებს აღმოაჩენს, რაც მას უთუოდ დაინტერესებს“, – აღნიშნა ბატონმა რამაზ შენგელიამ.

პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის პროფესორმა, ბესიკ კოჭლამაზაშვილმა, ისაუბრა როგორც მაისურაძეთა ღვანლი, ისე ბატონი თენგიზ მაისურაძის პიროვნულ ღირსებებზე, რაც, მისივე თქმით, კარგად დასტურდება ნიგინითაც, სადაც ყველა სიტყვა აწონილი და დოკუმენტურად განმტკიცებულია. მეგობრის, თანაკლასელის ადამიანურ ღირსებებზე გაამახვილა ყურადღება არქიტექტორმა პროფესორმა თემურ ჯორჯაძემაც.

ღონისძიების დასასრულს ავტორმა არაერთი მსურველი დაასაჩუქრა ნიგინი; რამდენიმე ეგზემპლარი თსუ-ის ბიბლიოთეკას გადაეცა საჩუქრად.

ნატო გოლკვაძე

სასახელმწიფო თაობა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრებით. გასული საუკუნის სამოციან წლებში ცნობილი და წარმატებული იყო სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტი) ჯაზ-ორკესტრი (ხელმძღვანელი შოთა არაყიშვილი) – იმ დროისთვის ერთ-ერთი თანამედროვე მუსიკალური კოლექტივი, რომელიც პროფესიონალ ორკესტრებს ტოლს არ უდებდა. გამორჩეულნი იყვნენ სპორტული მიღწევებით ფეხბურთელთა, კალათბურთელთა, მოჭადრაკეთა გუნდები.

სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტი) კალათბურთელთა გუნდის მსგავსი ნაკრები ევროპის ქვეყნების არცერთ უმაღლეს სასწავლებელს იმ პერიოდში არ ჰყოლია. მასში თავს მძიმდნენ თბილისის „დინამოს“ კალათბურთის გუნდის რამდენიმე მოთამაშეც, რომლებიც წარმატებით ასპარეზობდნენ უმაღლესი სასწავლებლის ტურნირებში და მრავალჯერ გამარჯვება მოიპოვეს.

მათგან დღეს ცოტანი შემოგვრჩენ, ისინი, სახელოვანი ადამიანები, პროფესორები, კვალიფიციური ექიმები არიან და, მიუხედავად ასაკისა, აქტიურად მონაწილეობენ სამედიცინო უნივერსიტეტის ცხოვრებაში: პროფესორი გურამ ბექაია, სამედიცინო ინსტიტუტის (უნივერსიტეტი) ფეხბურთის გუნდის წევრი, რომელიც, გარდა მეცნიერული მიღწევებისა, სპორტულ ცხოვრებაშიც წარმატებებს მიაღწია; პროფესორი გიორგი საკოიშვილი, ცნობილი ქირურგი და პედაგოგი, სამედიცინო ინსტიტუტის სპორტსაზოგადოება – „მედიკოს“ მოჭადრაკეთა გუნდის წარმატებული მოჭადრაკე, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში, პროფესორი ვაჟა გვანცელაძე, თერაპევტი – ინ-



გუნდისთვის; ბატონი ბუჭა გუგუციძე, შესანიშნავი ქირურგი, სამედიცინო ინსტიტუტის კალათბურთელთა გუნდში მაღალი ხტომებით გამოირჩეოდა და წარმატებით ართმევდა თავს ცენტრალური თავდასხმების ფუნქციას; პროფესორი რომანოზ სვანიშვილი, სპორტული მედიკინისა და კინეზოთერაპიის მეცნიერული ფუნქციონირების საქართველოში, რომელიც სისტემატურად თამაშობდა, როგორც სამედიცინო ინსტიტუტის, ისე სპორტსაზოგადოება „მედიკოს“ კალათბურთის გუნდში.

აქვე გულისტკივილით და პატივისცემით მოვიგონებთ გუნდის შესანიშნავ მოთამაშეებს: ჰენრიხ (გიზო) დოლიძეს, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძეს, ჯიმში რაჭვინაძეს, იოანე თევდორაძეს, კარლო მანჯგალაძეს, გურამ გიგინიშვილს, გიგა ქუთათელაძეს, ლეო ქეზაძეს და სხვებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს გუნდის წარმატებებში. გუნდის მაღალკვალიფიციური მწვრთნელი და შესანიშნავი ადამიანი ბატონი ბორის საჩქისოვი ჰყავდა.

სასიხარულოა, რომ დღესაც რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრები ღვანლიშვილი და ჭარმაგანი, ისევ სამედიცინო უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ იღვნიან.

მანანა ფსალაძე

თამარ დეკანოზიძე, 3 ნოემბერი, 1997 წელი.

გამოსათხოვარი

ბონდო ჯანელიძე



ლდათ ჩართული უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში. 2009 წლიდან ბატონმა ბონდომ პედაგოგიური მოღვაწეობა გააგრძელა სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტში. იგი სტუდენტებს დიდი ერთუზიანობით უზიარებდა თავის ღრმა ცოდნას სამედიცინო პარაზიტოლოგიაში.

ბატონი ბონდო გახლდათ ღვანდომოსილი მეცნიერი და პედაგოგი, ინტელექტის და დიდი მინაგანი კულტურის მქონე უბადლო თვისებებით დაჯილდოებული შეუდარებელი მეგობარი. ალბათ არ არსებობს სამედიცინო უნივერსიტეტში ადამიანი, რომელმაც დიდი ტკივილი არ განიცადა მისი გარდაცვალების გამო.

ბატონ ბონდოს ძლიერი და მჭიდრო კავშირი ჰქონდა აშშ-ში მცხოვრები საკუთარი ქალიშვილების ოჯახებთან, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაუშვია საქართველოს გარეშე ცხოვრება. მაშინაც კი, როცა მას ხანმოკლე დროით უწევდა იქ ყოფნა, მუდამ სამშობლოსადმი ნოსტალგიას განიცდიდა.

ბატონ ბონდოს სამედიცინო უნივერსიტეტმა, თბილისმა და სრულიად საქართველომ დაკარგა კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება – პროფესორი, სწორად მოაზროვნე, ნესიერი და, უბრალოდ, სიკეთით აღსავსე ადამიანი...

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მინა, უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი!

ბატონ ბონდოს სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწიფებით და დიდი სინანულით დაემშვიდობა ღვანდომოსილ თანამშრომელს, ბატონ ბონდო ჯანელიძეს.

ბატონ ბონდო მუშაობდა სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის არაქნოცტომოლოგიურ მიმართულებაში.

1970 წლიდან 2006 წლამდე ბატონი ბონდო მუშაობდა სამედიცინო უნივერსიტეტის ბიოლოგიისა და ზოგადი გენეტიკის კათედრაზე. ამ წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა კათედრის სასწავლო პროცესს; აქტიურად გახ-

დაცა კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება – პროფესორი, სწორად მოაზროვნე, ნესიერი და, უბრალოდ, სიკეთით აღსავსე ადამიანი...

ბატონ ბონდოს სამედიცინო უნივერსიტეტმა, თბილისმა და სრულიად საქართველომ დაკარგა კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება – პროფესორი, სწორად მოაზროვნე, ნესიერი და, უბრალოდ, სიკეთით აღსავსე ადამიანი...

ბატონ ბონდოს სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი



პროფესორ ბონდო ჯანელიძის ხსოვნას

ძნელია ახლობელ და ძვირფას ადამიანზე წარსულ დროში ისაუბრო, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს ამბავი ყველასთვის მოულოდნელად ხდება და მეხვიით გვატყდება თავს...

...წავიდა ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ აქტიურ და დაუღალავ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა და საკმაოდ მხნედ და ახალგაზრდულადც გამოიყურებოდა...

ბატონმა ბონდო ჯანელიძემ სამედიცინო მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტში დაიწყო, სადაც მოამზადა და დაიცვა დისერტაცია ენტომოლოგიაში. მისი უნიკალური კოლექციები ჩვენი უნივერსიტეტის სასწავლო მუზეუმში ინახება. არა გვგონია, დღეს ვინმემ ამგვარი რუდუნებით და სიყვარულით ჩაატაროს მსგავსი მუშაობა და კვლევა.

საოცარი პუნქტუალობით და ერთგულებით გამოირჩეოდა – სამედიცინო უნივერსიტეტში საქმიანობის ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არასდროს გაუცდენია და დაუგვიანია, პირიქით, ყოველთვის პირველი შეადგებდა ხოლმე კათედრის კარს. დიდი ხნის მანძილზე განაგებდა კათედრის სასწავლო-მეთოდურ ნაწილს. არნახულად მონესრიგებულ და ორგანიზებულ პიროვნებას, ყველანაირი დოკუმენტაცია, ასევე, ზედმიწევნით მონესრიგებული ჰქონდა.

...ყველას მოყვარული და პატივისმცემელი ადამიანი გახლდათ, კეთილშობილი და უნესიერესი კაცი – უყვარდა თანამშრომლები, რომელთანაც თბილი, კოლეგიალური დამოკიდებულება აკავშირებდა, სტუდენტებს კი მამასავით უყვარებოდა. ძალიან ბევრი ვერ შეძლებს იმას, რასაც ის შინ და გარეთ აკეთებდა...

...ძალიან გამიკვირდა, რა მარტივად არ მომილოცა, თურმე, სიკვდილს ებრძოდა...

არაჩვეულებრივი მეოჯახე, მუშელე, მამა და ბაბუა იყო, ამიტომ ყველა მათგანს ძალიან გაუჭირდება მის გარეშე.

წავიდა ჩვენგან მუდამ თბილად მოსაგონარი, ჩვენი ძვირფასი ადამიანი. ძალიან ძნელია შეგუება იმ აზრთან, რომ ის ჩვენთან აღარ იქნება; ხშირად მოვიგონებთ და გავიხსენებთ მას და ყოველთვის გული დაგვწყდება.

ბატონმა ბონდო ჯანელიძემ სამედიცინო მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის სამედიცინო-კვლევით ინსტიტუტში დაიწყო, სადაც მოამზადა და დაიცვა დისერტაცია ენტომოლოგიაში. მისი უნიკალური კოლექციები ჩვენი უნივერსიტეტის სასწავლო მუზეუმში ინახება. არა გვგონია, დღეს ვინმემ ამგვარი რუდუნებით და სიყვარულით ჩაატაროს მსგავსი მუშაობა და კვლევა.

საოცარი პუნქტუალობით და ერთგულებით გამოირჩეოდა – სამედიცინო უნივერსიტეტში საქმიანობის ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არასდროს გაუცდენია და დაუგვიანია, პირიქით, ყოველთვის პირველი შეადგებდა ხოლმე კათედრის კარს. დიდი ხნის მანძილზე განაგებდა კათედრის სასწავლო-მეთოდურ ნაწილს. არნახულად მონესრიგებულ და ორგანიზებულ პიროვნებას, ყველანაირი დოკუმენტაცია, ასევე, ზედმიწევნით მონესრიგებული ჰქონდა.

...ყველას მოყვარული და პატივისმცემელი ადამიანი გახლდათ, კეთილშობილი და უნესიერესი კაცი – უყვარდა თანამშრომლები, რომელთანაც თბილი, კოლეგიალური დამოკიდებულება აკავშირებდა, სტუდენტებს კი მამასავით უყვარებოდა. ძალიან ბევრი ვერ შეძლებს იმას, რასაც ის შინ და გარეთ აკეთებდა...

...ძალიან გამიკვირდა, რა მარტივად არ მომილოცა, თურმე, სიკვდილს ებრძოდა...

არაჩვეულებრივი მეოჯახე, მუშელე, მამა და ბაბუა იყო, ამიტომ ყველა მათგანს ძალიან გაუჭირდება მის გარეშე.

წავიდა ჩვენგან მუდამ თბილად მოსაგონარი, ჩვენი ძვირფასი ადამიანი. ძალიან ძნელია შეგუება იმ აზრთან, რომ ის ჩვენთან აღარ იქნება; ხშირად მოვიგონებთ და გავიხსენებთ მას და ყოველთვის გული დაგვწყდება.

მანანა ჭიკაძე, თსსუ-ის მოლექტორი და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის პროფესორი

აპთანდი კვანთაძე-კოპაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაცია და სტუდენტები გულსტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს პედაგოგის პატრიარქი, ღვანდომოსილი მეცნიერი და პედაგოგი, სამედიცინო-სოციალური აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის წევრი, საქართველოს პედაგოგთა ასოციაციის პრეზიდენტი და გამგეობის წევრი, საქართველოს პერინატოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი, საქართველოს ნეონეატოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ონკოპემატოლოგთა ასოციაციის წევრი, საქართველოს ღირსების ორდენის (1997) და ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენის (2015) მფლობელი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ კვანთაძე-კოპაძე.



ბატონმა ავთანდილ კვანთაძე-კოპაძემ ოთხმოცდაათ წელს გადააბიჯა... ეს სოლიდური ასაკია და მით უფრო აღსანიშნავი, რომ ამ დღეგრძელი სიცოცხლის და თითქმის შვიდათაუთული წლის ხანგრძლივობის საექიმო საქმიანობის ბოლომდე ბატონი ავთანდილი იყო კეთილსინდისიერი შრომასა და ძიებაში, საქართველოს მომავლის ჯანმრთელობის სამსახურში და ეს ყოველივე გამაფრთხილებს იმის შესახებ, რომ ბატონმა ავთანდილმა კვანთაძე-კოპაძემ დატოვა უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1960-61), სწავლული მდივანი და დირექტორის მოადგილე სამედიცინო დარგში (1962-66); 1966 წლიდან ბატონმა ავთანდილმა ჩამოაყალიბა ბავშვთა პემატოლოგიის განყოფილება, ჩაუდგა მას სათავეში და ამ ურთულეს დარგს ემსახურა სიცოცხლის ბოლომდე.

ბატონმა ავთანდილ კვანთაძე-კოპაძემ ოთხმოცდაათ წელს გადააბიჯა... ეს სოლიდური ასაკია და მით უფრო აღსანიშნავი, რომ ამ დღეგრძელი სიცოცხლის და თითქმის შვიდათაუთული წლის ხანგრძლივობის საექიმო საქმიანობის ბოლომდე ბატონი ავთანდილი იყო კეთილსინდისიერი შრომასა და ძიებაში, საქართველოს მომავლის ჯანმრთელობის სამსახურში და ეს ყოველივე გამაფრთხილებს იმის შესახებ, რომ ბატონმა ავთანდილმა კვანთაძე-კოპაძემ დატოვა უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1960-61), სწავლული მდივანი და დირექტორის მოადგილე სამედიცინო დარგში (1962-66); 1966 წლიდან ბატონმა ავთანდილმა ჩამოაყალიბა ბავშვთა პემატოლოგიის განყოფილება, ჩაუდგა მას სათავეში და ამ ურთულეს დარგს ემსახურა სიცოცხლის ბოლომდე.

ბატონმა ავთანდილმა საკანდიდატო დისერტაცია 1962 წელს დაიცვა („ვიცინაზილის კლინიკის პემატოლოგიური მანქანების გამოყენება“), სადოქტორო კი – 1979 წელს („ჯანმრთელ ბავშვთა და მოზარდთა პერიფერიული სისხლის ასაკობრივი თავისებურებანი საქართველოს რესპუბლიკაში“). ამ პერიოდში უკვე დამკვიდრებული იყო მისი პროფესიული და აკადემიური სიტყვის უპირობო ავტორიტეტი, ჩამოყალიბებული იყო ნაყოფიერი საერთაშორისო სამედიცინო კონტაქტები. მეტად პატივსაცემია ბატონი ავთანდილის, როგორც მკვლევრის და უბადლო ორატორის მოღვაწეობა. დახვეწი-

ლი ექიმი, სოხუმის ჩვილ ბავშვთა სახლის ექიმი-ორდინატორი, 1957-60 წწ. კი, სრულიად ახალგაზრდა – უკვე აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი პედატრი და სოხუმის ბავშვთა საავადმყოფოს განყოფილების გამგე. 1960 წლიდან ავთანდილ კვანთაძე-კოპაძე თბილისში მოღვაწეობს: გახლდათ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს პედატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1960-61), სწავლული მდივანი და დირექტორის მოადგილე სამედიცინო დარგში (1962-66); 1966 წლიდან ბატონმა ავთანდილმა ჩამოაყალიბა ბავშვთა პემატოლოგიის განყოფილება, ჩაუდგა მას სათავეში და ამ ურთულეს დარგს ემსახურა სიცოცხლის ბოლომდე.

ბატონმა ავთანდილმა საკანდიდატო დისერტაცია 1962 წელს დაიცვა („ვიცინაზილის კლინიკის პემატოლოგიური მანქანების გამოყენება“), სადოქტორო კი – 1979 წელს („ჯანმრთელ ბავშვთა და მოზარდთა პერიფერიული სისხლის ასაკობრივი თავისებურებანი საქართველოს რესპუბლიკაში“). ამ პერიოდში უკვე დამკვიდრებული იყო მისი პროფესიული და აკადემიური სიტყვის უპირობო ავტორიტეტი, ჩამოყალიბებული იყო ნაყოფიერი საერთაშორისო სამედიცინო კონტაქტები. მეტად პატივსაცემია ბატონი ავთანდილის, როგორც მკვლევრის და უბადლო ორატორის მოღვაწეობა. დახვეწი-

ლი აკადემიური მანერით გამოირჩეოდა მისი ყოველი გამოსვლა პროფესიულ და არა მარტო პროფესიულ აუდიტორიაში მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით დაცულია ათეულობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მნიშვნელოვანი იყო ავთანდილ კვანთაძე-კოპაძის მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოში. მას, კოლეგებთან თუ ოპონენტებთან კორექტულ და პრინციპულ მოკამათეს, ყოველთვის ჰქონდა განსხვავებული აზრის მოსმენისა და ობიექტური განსჯის უნარი.

ბატონი ავთანდილის მიერ ჩამოყალიბებული ბავშვთა პემატოლოგიის განყოფილებაში, რომელიც პირველი იყო საქართველოში, იკვლევდნენ სხვადასხვა გენეზის ანემიებს, თრომბოციტოპენიებს, ვერლჰოფის დაავადებას, თანდაყოლილ და შექმნილ სიყვითლეს ბავშვთა ასაკში; 1970-80-იან წლებში მკვლევრების მიერ, ბატონი ავთანდილის ხელმძღვანელობით, დადგენილია სისხლის შემადგენლობის ასაკობრივი ნორმა ბავშვებში, ასევე, საფუძველი ჩაეყარა სისხლის ჩანაცვლებით თერაპიას, ხანგრძლივად გამოყენებული ერთობლივი მასის გამოყენებას და სხვა.

ეს არასრული ჩამონათვალია იმ სამედიცინო და პრაქტიკული ჯანდაცვისათვის აქტუალური თემებისა, რასაც კოლეგებთან და მოსწავლეებთან ერთად იკვლევდა ბატონი ავთანდილი. მისი ნააზრევნი გადმოცემულია ორსამდე სამედიცინო პუბლიკაციაში და ოთხ მონოგრაფიაში. ავთანდილ კვანთაძე-კოპაძის სამედიცინო სიტყვა კიდევ დიდხანს იქნება ქრესტომათიული პედატრიის, განსაკუთრებით – ბავშვთა პემატოლოგიის სფეროში.

ბატონი ავთანდილი ქვეყნარსივით რომ დიდი ოჯახის ბურჯი, ღირსეული შთამომავლობის მამა და ბაბუა იყო. დარწმუნებული ვართ, მისი საქმე გავაძელებს ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღის სასიკეთოდ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ოთარ ზენაიშვილის გახსენება



ოთარ ზენაიშვილი, კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს, ღვანდომოსილი მეცნიერი და ბუნებით მკურნალი. ბატონი ოთარი გახლდათ საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, „ღირსების ორდენის“ კავალერი, წლების მანძილზე პედიმინთოლოგთა სამედიცინო საზოგადოების საქართველოს ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის დოქტორი აკადემიური ხარისხის მიმნიჭებული საბჭოს ექსპერტი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის კონსულტანტი; 1961 წლიდან ხელმძღვანელობდა ს.ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკურ განყოფილებას.

მცხოვანი მეცნიერი, რომლის სამედიცინო-პედაგოგიური მოღვაწეობა 65 წელს ითვლიდა, 200-ზე მეტი მნიშვნელოვანი სამედიცინო ნაშრომისა და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი გახლდათ. მათი უმრავლესობა პარაზიტულ და ტროპიკულ დაავადებათა მკურნალობის საკითხებს უკავშირდება. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია საქართველოსა და უცხოურ გამოცემებში. საქართველოში მან პირველად აღწერა ზოგიერთი იშვიათი პედიმინთოზი – ნანლაის შისტოზომიატოზი, ლოაოზი, პარაგონიმოზი და მონოზიოზი.

აღსანიშნავია ბატონი ოთარის ნაყოფიერი საქმიანობა მაღარის, ლეიშმანიოზის, ექინოკოკოზის, ფასციოლოზის დიაგნოსტიკის და კონსერვატიული მკურნალობის საკითხებზე.

ბატონი ოთარი იყო ღვანდომოსილი პედაგოგი. პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ჯერ ცხინვალის სამედიცინო სასწავლებელში, შემდეგ ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს სამედიცინო პარაზიტოლოგიაში.

იგი აქტიურად თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან. იყო თსსუ-ის მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებული საბჭოს ექსპერტი. მისი ხელმძღვანელობით, დაცულია 10-ზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია. დიდია მისი ღვაწლი რეზიდენტთა მომზადების საქმეში. 2002 წელს აირჩიეს მედიკოს რეზიდენტთა საქართველოს ასოციაციის საპატიო წევრად. 2003 წელს, ბატონმა ოთარმა, ცნობილ მეცნი-

ერებთან ერთად, დააფუძნა საქართველოს ინფექციონისტიკა, ეპიდემიოლოგთა და მიკრობიოლოგთა ასოციაცია. 2006 წლიდან კი იგი ამ ასოციაციის საპატიო წევრად აირჩიეს. წლების განმავლობაში სამედიცინო სფეროში ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის, მადლობის სიგელი.

ბატონი ოთარი დააკლდა ქართველ სამედიცინო საზოგადოებას, პარაზიტოლოგთა და ინფექციონისტთა დიდმა არმიამ დაკარგა კორიფთა შორის ერთ-ერთი, დასრულდა მცხოვან მეცნიერთა ეპოქა!

ბატონი ოთარის პიროვნებას უბრალოდ, მაღალი ზნეობა, უზადო მეგობრობა, გაჭირვებულის თანადგომა, უდიდესი პროფესიონალიზმი, დახვეწილი იუმორი, კლასიკური მუსიკის უდიდესი სიყვარული ამშვენებდა.

პატივს მივაგებთ ბატონი ოთარის ნათელ ხსოვნას. მისი აღზრდილები ღირსეულად აგრძელებენ პროფესიულ მოღვაწეობას.

სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები; საქართველოს პარაზიტოლოგთა ასოციაცია; თსსუ-ის სამედიცინო ბიოლოგიისა და პარაზიტოლოგიის დეპარტამენტი

გოია

ფრანსისკო ხოსე დე გოია ლუსიენტესი – დიდი ესპანელი მხატვარი, გრაფიკოსი, გრაფიკოსი, ნოვატორი მხატვარი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ესპანურ ფერწერაზე... ბავშვობა არაგონში, ქალაქ სარაგოსაში, გაატარა. ცნობილია, რომ არცთუ სრულყოფილი განათლება მიიღო. გადმოცემის მიხედვით ახალგაზრდა მხატვარი რომანტიკული თავგადასავლების მოყვარული იყო. ერთხელ ჩხუბში სასიკვდილოდ დაჭრა მონიანალმდეგე. სასჯელიდან თავის არიდების მიზნით იძულებული გახდა, მადრიდში წასულიყო. სწორედ ამ დროიდან იწყება შემოქმედის ჩამოყალიბება. მადრიდში იგი შეხვდა ფრანსისკო ბაიუსს, სასახლის კარის და მეფე კარლოს III-ის პირად მხატვარს.



მოგვიანებით გოია ბრუნდება მშობლიურ ქალაქში, სადაც თავისუფალი მხატვრის სტატუსით მუშაობს. საოცრად სწრაფი ტექნიკის წყალობით შექვევებს ერთიმეორის მიყოლებით ასრულებდა. განსხვავებული სამუშაო სტილი მკვეთრად გამოარჩევდა გოიას სხვა მხატვრებისგან.

მალე (1773 წ.) გოია დაქორწინდა ფრანსისკო ბაიუსს დაზე, ხოსეფაზე. 1777 წელს ანტონ რაფაელ მენგესს, სასახლის კარის მხატვარს, შეუმჩნეველი არ დარჩენია გოიას შესაძლებლობები და ის დაინიშნა მხატვართა ჯგუფის ხელმძღვანელად, რომლებიც ამუშავებდნენ ესკიზებს სამეფო მანუფაქტურის შპალერისთვის. მონარქიამ, ბოლოს და ბოლოს, აღიარა გოიას სიდიადე და 1778 წელს, კარლ III-ის კეთილგანწყობით და მხარდაჭერით, მიიღო სასახლის კარის მხატვრის სტატუსი, რომელიც ვაკანტური იყო მენგესის გარდაცვალების შემდეგ. ამ დროს შესაჩნევი გახდა გოიას ხასიათის ერთი გამოკვეთილი შტრიხი – ქედმაღლობა, რაც კარგად ჩანს მის იმდროინდელ ავტობიოგრაფიულ ციკლში: მისი შვილი, ჰაიგერი, ამ თვალსაზრისით მიაჩნებოდა გოიას ქულებზე, რომელზეც დამაგრებულია სანთელი, რითაც მხატვარს იმის ხაზგასმას სურდა, რომ ის არ წყვეტდა მუშაობას ღამითაც.

1792 წლის დეკემბრიდან გოია რამდენიმე ხნით ცხოვრობდა კადისში, მეგობარ სებასტიან მარტინესთან, სადაც მოულოდნელად გახდა ავად – აწუხებდა ძლიერი თავის ტკივილები, ხმაური ყურებში, ორიენტაციის უნარის დაკარგვა, მხედველობის მკვეთრი გაუარესება; ამავ



„გოიას კურნავს ექიმი არიეტა“ — ამ სახელწოდების ტილოზე ავადმყოფ გოიასთან ერთად გამოსახულია მეგობარი ექიმი. ტილოს ქვედა ნაწილზე ეწერა: „გოია მადლობელია მისი მეგობრის, არიეტის, წარმატებული მკურნალობისა და დიდი ზრუნვისთვის სასტიკი და სახიფათო ავადმყოფობის წინააღმდეგ 1819 წლის მინურულს 73 წლის ასაკში“.

დროს, პარალიზებული ჰქონდა მარჯვენა ხელი; სახეზე იყო ციებ-ცხელებით გამოწვეული კრუნჩხვები, კუნთების ცახცახი, კანკალი, ხშირი ჭვავი და კომპარტოზური მდგომარეობა... ცოტა მოგვიანებით მხედველობა გაუმჯობესდა, უფრო და უფრო იშვიათად აწუხებდა თავბრუსხვევა, მოძრაობის უნარიც თანდათან აღდგა, თუმცა მარჯვენა ხელი დღესანს იყო პარალიზებული, რაც შეეხება სმენას, იგი სიცოცხლის ბოლომდე ყრუ იყო.

ჯანმრთელობის გაუარესებამ კვალი დაატოვა მის შემოქმედებას. მხატვრის პალიტრაზე, თეორიულ ერთად, დომინანტი ფერები გახდა ყავისფერი, რუხი, შავი და, ამასთანავე, ზოგჯერ თითქოს „კაჟაშებენი“ მკვეთრი ფერები; სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ფუნჯის მოსმისას გოია იყენებდა განსხვავებულ ტექნიკას – ხაზები იყო მოკლე და ნერვიული.

მხატვარი დაინტერესდა გრაფიურის ტექნიკით და ოფორტი – შექმნა 80 ოფორტისგან შედგენილი სერია „Caprichos“, რომელმაც მწვავე სოციალური სატირით მიიქცია ყურადღება (მოგვიანებით ქმნის ოფორტების სერიას – „ომის საშინელებანი“).

სამოქალაქო ომის დროს გოია, ისევე, როგორც არაერთი მისი მეგობარი და თანამოაზრე, თავისუფლების იდეის მქადაგებლად გამოდის. მან და მისმა ოჯახმა გადაიტანა სამიწის გაქირვების 1811 წელი. მალე გარდაეცვალა მეუღლე და 66 წლის გოია სრულად მარტო დარჩა.

მხატვარმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა პარიზში, სადაც შედარებით ნაკლებ დროს უთმობდა შემოქმედებას. 1825 წელს გოია მძიმედ დაავადდა. ამჯერად ექიმმა დაუდგინა შარდის ბუშტის პარალიზების დიაგნოზი.

ბოლო წლებში გოიამ მიაღწია ტექნიკას, რომელიც შემოქმედებითი თავისუფლების საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. ხატავდა თხევადი საღებავებით, რომელსაც ტილო ადვილად ინოვდა, ხატვისას იყენებდა

მაუდის ტილოს და თითებს. ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი იყო შვილიშვილის პორტრეტი.

სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე გოიას ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად დამძიმდა, რაც მარჯვენა მხრის პარალიზებით და მეტყველების უნარის დაკარგვით გამოიხატა. 1828 წელს იგი გარდაიცვალა.

გაერცვლებული მოსაზრებით მხატვარი ტყვეობაში მონაწილეობს მსხვერპლად გახდა. პირველად 1972 წელს, ვ. ნიდერლანდმა, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ფსიქიატრმა, სცადა გოიას დაავადების სიმპტომები მძიმე მეტალით მონაწილასთან დაეკავშირებინა. იმ დროისთვის მხატვრის მიერ საღებავის დამზადება ჩვეულებრივი ფაქტი იყო. შეინახა რა გოიას ფერების პალიტრა, სპეციალისტებმა საინტერესო დასკვნა გააკეთეს: მხატვარი უპირატესობას ანიჭებდა თეთრ ფერს, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენდა ტყვიის ბულიას. სწორედ ამ ნივთიერებას იყენებდა, როცა ხატავდა თეთრი, რუხი ან პერლამუტის შეფერილობით. ამ გზით ის ახერხებდა მომავადი თვითმყოფადობის მიღწევას, რითაც გამოირჩეული იყო მისი შემოქმედება.

როცა დიდი მხატვრის ავადმყოფობის შემოქმედებით საქმიანობასთან კავშირზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია ხატვის მისეული ტექნიკა: თხევადი საღებავებით ხატვისას სწრაფი მონასში აძლიერებდა ტყვიის ორგანიზმში მოხვედრის შესაძლებლობას – საღებავის თხელ, წვრილ ნვეთებს თითქოს აეროზოლის მოქმედების ეფექტი ჰქონდა, მით უფრო, რომ მხატვარი მუშაობდა არა ფუნჯით, არამედ მაუდის ნაჭრით ან ღრუბლით, რის გამოც ხელი, ფაქტობრივად, დაუცველი იყო და პირდაპირი კონტაქტი ჰქონდა შხამიან ნივთიერებასთან. ტყვიას, ბუნებრივია, ქრონიკულ ინტოქსიკაციამდე მიჰყავდა, რადგან ქსოვილები იფინთებოდა სანამალავით, რომელიც განსაკუთრებით შინაგან ორგანოებსა და ძვლებში ილექებოდა. საერთო სიმპტომები: ტყვეობაში მონაწილეთი კანის შეფერილობა და ნალექი, ტყვიის ერთგვარი „არ-

„გოიას კურნავს ექიმი არიეტა“ — ამ სახელწოდების ტილოზე ავადმყოფ გოიასთან ერთად გამოსახულია მეგობარი ექიმი. ტილოს ქვედა ნაწილზე ეწერა: „გოია მადლობელია მისი მეგობრის, არიეტის, წარმატებული მკურნალობისა და დიდი ზრუნვისთვის სასტიკი და სახიფათო ავადმყოფობის წინააღმდეგ 1819 წლის მინურულს 73 წლის ასაკში“.

შია“ ღრძობებზე, ცვლილებები სისხლსა და შარდში; ასევე, ნერვული სისტემის დაზიანება, ასთენიური სინდრომი — თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, ფიზიკური და ფსიქიკური ხასიათის გადაღლილობა, მოთენხილობა, ძილის დარღვევა, ემოციური ცვალებადობა, ინტერესის არეალის შევიწროება... ტყვეობაში გამოწვეული ცენტრალური (მეხსიერების მკვეთრი გაუარესება, ინტენსიური თავის ტკივილები, თვითმფრთხის უნარის დაკარგვა, ფსიქოსენსორული აბილიტა); მხედველობის და ყურთასმენის დარღვევას თან დაერთო შალუქსინაციები, კანკალი, თავის ცალკეული ნერვის დაზიანება, ეპილევსია, მენინგოპათია; გარდა ამისა: ტყვეობაში მონაწილეთი შემოქმედებით გამოწვეული თირკმლის ჭვავი, ვეგეტატიური კრიზი (დაღლილობა, გაღიზიანება, შეტევილი ხასიათის ტკივილები მუცელში, პრობლემები საჭმლის მომწელებელი სისტემის თვალსაზრისით, ლებინება, ტაქიკარდია, მაღალი არტერიული წნევა...). მძიმე სინდრომი – ტყვეობაში ინტოქსიკაციით გამოწვეული პარალიზება (კონკრეტულ შემთხვევაში – მარჯვენა ხელის); წყაროების მიხედვით არაფერია ნათქვამი, თუ რის საფუძველზე დადგინდა შარდის ბუშტის პარალიზების დიაგნოზი; ვვარაუდობენ, რომ ის ფუნჯობა საშარდე გზების დაზიანების სხვადასხვა გამოხატულ სინდრომში. მიზეზი შარდის გამოყოფის დარღვევისა, შესაძლოა, ყოველივე კენჭოვანი დაავადება, რომელიც, დიდი ალბათობით, ტყვეობაში ქრონიკული ინტოქსიკაციის ფონზე განვითარდა და ხასიათდებოდა თირკმლის ჭვავის გამუდმებული შეტევებით, მეორე მხრივ, მიზეზად სახელდება ვეგეტატიური კრიზი, რასაც სისხლში კატეკოლამინების მატებით ხსნიან.

სამწუხაროა, რომ ცხოვრების ბოლო წლებში დიდ მხატვარს ავადმყოფობამ სიცოცხლის ხალისი წაართვა, რაც მის შემოქმედებაზეც აისახა, თუმცა ამით მის შემოქმედებას არაფერი დაკლებია – მისი უნიკალური და თვითმყოფადი სამყარო დღემდე ალაფრთოვანებს მნახველს.

მომზადდა ნატო გოლქვაძემ



„ჰიგია“ მონაკოს ფესტივალი...

თეატრ „ჰიგია“ წარმატებული პრემიერების თუ საგასტროლო ტურნეების შესახებ კარგადაა ცნობილი ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის. როდესაც სასახარულაა, რომ მისი პოპულარობა თანდათან იზრდება და ცდება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. დასაწერია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. დასაწერია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. დასაწერია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს.

– რატომ „ქეთო და კოტე“? – ფესტივალზე გასაგზავნი სპექტაკლის შერჩევის პერიოდი განახლებული „ქეთო და კოტე“ პრემიერას დაემთხვა. გარდა ამისა, „ქეთო და კოტე“ განსაკუთრებული აღიარება და სიხარული მოგვიტანა. ის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა „ჰიგიასთვის“ და ვიფიქრეთ: რატომაც არა? – იყოს „ქეთო და კოტე“... აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პირადად რექტორს, რომლის ხელშეწყობითაც დასს მონაკოში გამგზავრების შესაძლებლობა მიეცა.

– როდის გაიმართება ფესტივალი, რამდენჯერ წარადგენთ სპექტაკლს და ფესტივალის ფარგლებში ხომ არ არის დაგეგმილი სხვა ღონისძიებები მონაწილეობაზე? – ფესტივალის ჩატარების თარიღი 2017 წლის 21–30 აგვისტო. „ქეთო და კოტე“ ორჯერ იქნება წარმოდგენილი, 28–29 აგვისტოს – მასურებლისა და ყოურისთვის. დიახ, იქნება სხვა ღონისძიებებიც. მაგალითად, 25 აგვისტოს დაგეგმილია Red and White ფართი, რომლის სახელწოდებაც მიუთითებს, რომ ღონისძიების დომინანტი ფერები იქნება წითელი და თეთრი. უკვე გადავწყვიტეთ, რომ საქართველოს დროშის ფერებს მივუხადებო ჩვენი ჩაცმულობაც, რაც, ვფიქრობ, შთამბეჭდავი იქნება. უნდა ითქვას, რომ ეს არის მაღალი ღონისძიებისძიება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ როგორც მულენ რუჟის, ისე სხვა საუკეთესო მოცეკვავეები. დაგეგმილია, ასევე, შეხვედრა მონაკოს პრინცთან.

– ეჭვიც არ გვპარება, რომ წარმატებული საგასტროლო ტურნე იქნება, თუმცა მაინც: როგორია თქვენი მოლოდინი? – ვნახოთ... ადვილი არ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთის თეატრალურ საზოგადოებას არ უყვარს ფესტივალზე გამარჯვებულების გამოვლენა იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა უკვე გამარჯვებაა, ამ ფესტივალზე 3 საუკეთესო სპექტაკლი მაინც გამოვლინდება და ეს თეატრები გერმანიის საერთაშორისო ფესტივალზე, 2018 წელს, წარდგებიან.

– მონაკოში გამგზავრებამდე, როგორც ვიცით, პრემიერაც ელის „ჰიგიას“ მყურებლს? – დიახ, გეშუაობთ ახალ სპექტაკლზე – ლამა თაბუკაშვილის „სადაც, ცისარტყელას მიღმა“, რომელსაც ივენისის დასაწყისში წარუდგენთ მასურებელს.

– მონაკოში გამგზავრებამდე, როგორც ვიცით, პრემიერაც ელის „ჰიგიას“ მყურებლს? – დიახ, გეშუაობთ ახალ სპექტაკლზე – ლამა თაბუკაშვილის „სადაც, ცისარტყელას მიღმა“, რომელსაც ივენისის დასაწყისში წარუდგენთ მასურებელს.

ნატო გოლქვაძე

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
 ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
 რედაქტორი **ლელა ჯიყაშვილი**
 კორესპონდენტები: **მანანა ფხალაძე** ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე ტ.:555 28 28 97
 ელ-ფოსტა **newspapertsmu@gmail.com**